

კვლევები და პრაქტიკული ნაბიჯები ქართული საავიაციო ტექნიკური ტერმინოლოგიის განვითარებისა და სრულყოფისათვის

ს. ტეფნაძე¹, ნ. თიკანაშვილი¹, რ. ხაჩიძე¹, ვ. კელიხაშვილი¹, მ. ოსაძე²

¹საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, ქეთევან დედოფლის გამზირი, 16, 0103, თბილისი, საქართველო

²თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პავლე ონგოროყვას ქუჩა 8, 0108, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

ავიაციისა და საავიაციო ინდუსტრიის სწრაფი განვითარების შედეგად ბოლო წლებში დამუშავდა სრულიად ახალი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები, რომლებიც დაინერგა და წარმატებით გამოიყენება მთელ მსოფლიოში. შესაბამისად ხმარებაში შემოვიდა საერთაშორისო მნიშვნელობის ახალი საავიაციო ტერმინები და ცნებები. აუცილებელი გახდა მათი ქართული შესატყვისების მოძიება ან ახლის შექმნა, რასაც ბოლო დროს პარალელურად, მაგრამ ერთმანეთთან შეუთანხმებლად, ახორციელებენ სხვადასხვა უწყებები და ორგანიზაციები. საჭირო გახდა საავიაციო დარგის სპეციალისტებისა და ენათმეცნიერების ერთობლივი მუშაობა ამ მიმართულებით.

სტატიაში განხილულია საავიაციო ტერმინოლოგიის განვითარების ეტაპები საქართველოში, შესწავლილია მისი დღევანდელი მდგომარეობა და დასახულია მისი შემდგომი განვითარების გზები.

საკვანძო სიტყვები: საავიაციო ტერმინოლოგია, ლექსიკონი, თარგმნა, ტერმინთბანკი

ძირითადი ნაწილი

ავიაცია და საავიაციო ინდუსტრია სწრაფად ვითარდება თანამედროვე მსოფლიოში. ბოლო რამდენიმე ათეულ წლებში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების შედეგად დამუშავდა ახალი ტექნოლოგიები და მათ ბაზაზე გაუმჯობესდა და უმრავლეს შემთხვევაში შეიქმნა ავიაციასთან დაკავშირებული სრულიად ახალი ტექნიკური და საკომუნიკაციო ფუნქციური საშუალებები. ამ შეუჩერებელ პროცესში მონაწილეობს საქართველოც.

საქართველოში ავიაციის ისტორია იწყება გასულ საუკუნეში. ამ პერიოდიდან ქართველი მეცნიერები და ავიატორები ჩართული არიან მსოფლიო ავიაციის განვითარებაში. ქვეყანაში დაარსდა და ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი საავიაციო ინდუსტრიული და საგანმანათლებლო ორგანიზაციები. ამის მაგალითია თბილისის დიმიტროვის სახელობის №31-ე საავიაციო ქარხანა, რომელიც 1941 წლიდან უშვებდა სხვადასხვა ტიპის საბრძოლო დანიშნულების თვითმფრინავებს. შემდგომში კი მის ბაზაზე ჩამოყალიბდა სამი ორგანიზაცია: საქართველოს სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“, სააქციო საზოგადოება თამ-„თბილავიამშენი“ და შპს „თამ მენეჯმენტი“ საგანმანათლებლო კუთხით ლიდერია „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“, რომელიც ფუნქციონირებს 1992 წლიდან და დღეისათვის წარმოადგენს საავიაციო მიმართულებით ყველა საფეხურის უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების, ასევე საავიაციო დარგში დასაქმებული სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების მნიშვნელოვან განათლების კერას.

პოსტსაბჰოთა პერიოდში საქართველოში ავიაციის განვითარების პარალელურად საჭირო გახდა ქართული საავიაციო ტერმინოლოგიის მოწესრიგება და განვითარება, რადგან საბჰოთა პერიოდში ყველა საკავშირო და ცენტრალურ მმართველობას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში დოკუმენტაციის, განსაკუთრებით ტექნიკური დოკუმენტაციის, წარმოება ძირითადად ხორციელდებოდა რუსულ ენაზე. შესაბამისად არასათანადო ყურადღება ექცეოდა ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნას და დამკვიდრებას.

ქართული საავიაციო ტერმინოლოგია პირველად გამოჩნდა გასული საუკუნის მე-2 ნახევარში ქართულ ენაზე გამოცემულ რუსულიდან თარგმნილ სახელმძღვანელოებში [1-3], რომელიც განკუთვნილი იყო უმაღლესი და საშუალო ტექნიკური საავიაციო სასწავლებლების სტუდენტებისა და ავიაციის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართულ ენაზე ასევე გამოიცა საავიაციო დარგის რამდენიმე სახელმძღვანელო საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის [4-6]. დამოუკიდებლობის პირობებში საქართველომ დაამყარა კავშირები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, საქართველოს აეროპორტებიდან დაიწყო საერთაშორისო ფრენების განხორციელება და უკვე ხმარებაში შემოვიდა საავიაციო საერთაშორისო ტერმინები, უმეტესად ინგლისურ ენაზე. შესაბამისად შეიქმნა ინგლისურ-ქართული საავიაციო ლექსიკონის დამუშავების საჭიროება.

სავიაციო ტერმინოლოგიის მოწესრიგების პირველი მცდელობა განხორციელდა 2002 წელს, როდესაც დამუშავდა „ინგლისურ-რუსულ-ქართული საავიაციო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი“ [8] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სპეციალისტების ერთობლივი მუშაობით. უკვე ოცი წელი გავიდა ავიაციის დარგში ბოლო ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონის გამოცემიდან და ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, საავიაციო დარგში გაჩნდა ახალი ტექნოლოგიები, შესაბამისად, დარგს დაემატა ახალი ცნება-ტერმინები, რომელთა უმეტესობა ტერმინოლოგიური ლექსიკონის არარსებობის გამო ქართულში უთარგმნელად მკვიდრდება და ამასთანავე - განსხვავებული ფორმებით, რადგან ეს პროცესი - ტერმინების გადმოტანა - ბოლო წლებია, შესაძლოა ითქვას, მთლიანად მთარგმნელებზეა დამოკიდებული. თითოეულ მთარგმნელს კი ტერმინი თავისებურად გადმოაქვს: კალკირებული ფორმით, ანუ პირდაპირი თარგმანით ან უთარგმნელად, თითოეულ მთარგმნელს კი ტერმინი თავისებურად გადმოაქვს: კალკირებული ფორმით, ანუ პირდაპირი თარგმანით ან უთარგმნელად, ამ შემთხვევაში კი ხშირად განსხვავებულია ტრანსლიტერაციის წესებით. მრავალ საავიაციო ტერმინსა და მათ განმარტებას შეიცავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბოლო წლებში გამოცემული ბრძანებებით დამტკიცებული სხვადასხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია და თარგმნილია ინგლისურიდან სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და ევროკავშირის სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სახელმძღვანელო დოკუმენტების მიხედვით, უმაღლესი სასწავლებლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები და სხვა სახის ნაშრომები, რომლებიც გამოცემულია ბოლო ოცი წლის განმავლობაში [10-12], საავიაციო საწარმოების შიდა საკონსტრუქტორო და ტექნიკური დოკუმენტაცია. შედეგად ბოლო წლებში თავი იჩინა ტერმინოლოგიურმა სიჭრელემ, გაჩნდა ერთი ცნების აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი. ამის დასტურად ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი.

მაგალითი 1. განვიხილოთ საერთაშორისო ინგლისურენოვანი ტერმინები: **Damper, Spoiler, Spar.** ეს ტერმინები, ისე როგორც ბევრი სხვა ტერმინი, სხვადასხვა წყაროში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. ამათგან ზოგიერთი მათგანი შეიძლება მივიჩნიოთ სინონიმებად. ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც ნაჩვენებია თუ როგორი სახით არიან ისინი წარმოდგენილები ცხრილში მოყვანილ წყაროებში.

ცხრილი 1. სამაგალითო საავიაციო ტერმინები და მათი განმარტებები სხვადასხვა წყაროებში

ლიტერატურა	ტერმინები და მათი შესატყვისები სხვადასხვა წყაროში		
	Damper	Spoiler	Spar
მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი, 1989 წ.	დემპფერი [გერმ. Dampfer] 1.(ტექ.) რხევათა მაცუჩი; 2.(მუს.) სიმების რხევათა შეწყვეტის მოწყ.	არ მოიძებნა	ლონჯერონი - თვითმფრინავის ფრთის გაყოლებაზე სიმაგრისათვის დატანებული ძელი.
ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული ელექტრონული ლექსიკონი, თსუ, 2016	1. ამორტიზატორი, დემპფერი ; 2.(სპეც.) დემპფერი , რხევების/ვიბრაციის ჩამხშობი; 3.(მეტ.) ფარსაკეტი, შიბერი	1.(ავტ.) სპოილერი, ანტიფრთა; 2.(ავ.) ინტერცეპტორი, სპოილერი	არ მოიძებნა
ინგლისურ-რუსულ-ქართული საავიაციო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი, 2002	Демпфер – დემპფერი	Интерцептор - ინტერცეპტორი	Лонжерон - ლონჯერონი
Англо-русский Словарь по Гражданской Авиации, В.П. Марасанов, Москва, 1989	1. Демпфер ; 2. Амортизатор ; 3. Гаситель (колебаний).	Интерцептор	Лонжерон
ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი), 1989	Демпфер – დემპფერი	Интерцептор - ინტერცეპტორი	Лонжерон - გრძივი ძელი, ლონჯერონი
„სავიაციო ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული)“, ვ. ბერიაშვილი, თბილისი, 2001 წ.	Демпфер – სახშობი, დემპფერი	Интерцептор - იხ. Спойлер - საქარი	Лонжерон - ლონჯერონი
შემოთავაზება ავტორებისგან	დემპფერი, სახშობი	სპოილერი, ინტერცეპტორი	გრძივი ძელი, ლონჯერონი

მაგალითი 2. ავიაციაში ერთერთი მნიშვნელოვანი პროცესია „აფრენა-დაფრენის ციკლი“.

ქართული საავიაციო ტერმინოლოგია რომ სერიოზულ კვლევასა და დამუშავებას მოითხოვს, ამის ერთერთი მაგალითია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) მიერ თვითმფრინავის აფრენა-დაფრენის პროცესის უნიფიცირების მიზნით დამუშავებული და დადგენილი პირობითი აფრენისა და დაფრენის სტანდარტული ციკლი (LTO - Landing and Take-off Cycle), რომელიც ეხება თვითმფრინავის მოძრაობას აეროდრომის ზონაში (ცაში - 3000 ფუტის ანუ ≈ 915 მ-ის ქვემოთ და ხმელეთზე - აეროდრომის ზედაპირზე). ციკლი შეიცავს შემდეგ პროცესებს (იხ. სურ 1):

Approach – თვითმფრინავის ფრენის პროცესი ცაში აეროდრომის ზონაში შემოსვლის შემდეგ აეროდრომის დასაფრენი ბილიკის ზედაპირთან შეხებამდე. გრძელდება 4 წუთის განმავლობაში.

Taxi-in – თვითმფრინავის მოძრაობა აეროდრომზე დაფრენიდან გაჩერებამდე. გრძელდება 26 წუთის განმავლობაში.


Taxi-out – ძრავაჩართული თვითმფრინავის მოძრაობა აეროდრომზე პარკირების ზონასა და ასაფრენი ბილიკის წერტილს შორის, საიდანაც მოხდება მისი აფრენა.

Take-off – ფრენის ფაზა, რომლის დროსაც თვითმფრინავი გადადის ასაფრენი ბილიკიდან ჰაერში ფრენისკენ. გრძელდება 0.7 წუთის განმავლობაში.

Climb-out - ფრენის ფაზა, რომლის დროსაც თვითმფრინავი აფრენის შემდეგ წინასწარ განსაზღვრულ საკრუიზო სიმაღლეზე ადის. გრძელდება 2,2 წუთის განმავლობაში.

Lift off - წარმოადგენს აფრენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წერტილს.

Touch down - წარმოადგენს თვითმფრინავის ასაფრენ-დასაფრენ ზოლთან შეხების წერტილს.



სურ. 1. თვითმფრინავის აფრენა-დაფრენის პროცესის უნიფიცირების მიზნით დამუშავებული და დადგენილი პირობითი აფრენისა და დაფრენის სტანდარტული ციკლი (LTO - Landing and Take-off Cycle)

ზემოაღნიშნული ინგლისური ტერმინების ქართული შესატყვისები სრულყოფილად არ არის ასახული ინგლისურ-ქართულ და რუსულ-ქართულ საავიაციო ლექსიკონებში. უკეთესი მდგომარეობაა ინგლისურ-რუსულ საავიაციო ლექსიკონებში.

ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი, რომელშიც მოცემულია აფრენისა და დაფრენის სტანდარტული ციკლის შემადგენელი პროცესების ინგლისური და რუსული ტერმინები, ამასთან ერთად მოცემულია ქართულ ლექსიკონებში არსებული მათი ქართული შესატყვისები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთიდაიგივე ინგლისურ საერთაშორისო ტერმინს ზოგ შემთხვევაში შეესაბამება სხვადასხვა ქართული ტერმინი. ამდენად დასადგენია და დასაზუსტებელია შესაბამისი ქართული ტერმინები. პრობლემის გადასაწყვეტად ავტორებისაგან შემოთავაზებულია მათი შესაძლო ვარიანტები.

ცხრილი 2. თვითმფრინავის აფრენა-დაფრენის სტანდარტული ციკლის პროცესების ტერმინები და მათი განმარტებები სხვადასხვა წყაროებში

ლიტერატურა	ტერმინები და მათი შესატყვისები სხვადასხვა წყაროში			
	Approach (4 min)	Taxi-in & “Taxi-out” or “Idle” (26 min)	Take-off (0,7 min)	Climb-out (2,2 min)
Англо-русский Словарь по Гражданской Авиации, В.П. Марасанов, Москва, 1989	Заход на посадку	Руление, рулить /режим малого газа; заруливать (на стоянку)	Взлет; отрыв от земли	Набор высоты, подъем
ინგლისურ-რუსულ-ქართული საავიაციო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი, 2002	არის მხოლოდ ილუსტრაციებში: აეროდრომთან მისასვლელი/ დასაფრენად შემოსვლა სურ. 115/სურ.117	არ არის ტექსტში, არის მხოლოდ ილუსტრაციაში (სურ.115): Taxi portion - გასწორების მონაკვეთი	ტექსტში: აფრენა; ილუსტრაციაში: (სურ.122) აფრენა	ტექსტში: სწრაფადმავლობა; ილუსტრაციაში: (სურ.122) - სიმაღლის აღება.
სავიაციო ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული), ვ. ბერიაშვილი, 2001 წ	დასაფრენად შესვლა	სვლა, მოძრაობა, მიმოსვლა	აფრენა	სიმაღლის აღება
საქ. სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესი, ბრძანება № 50, 15.08. 2003	მიდგომა/მისადგომი	-	აფრენა	-
შემოთავაზება ავტორებისგან	დასაფრენად შესვლა	მიმოსვლა	აფრენა	სწრაფადმავლობა

ამრიგად იმ პრობლემიდან გამომდინარე, რომლებიც დგას საქართველოში საავიაციო ტერმინოლოგიის სფეროში, აუცილებელია და გადაუდებელი ამოცანაა საავიაციო დარგის სპეციალისტებისა და ენათმეცნიერთა ერთობლივი მეცადინეობით ქართული საავიაციო ტერმინოლოგიის სრულყოფილი კვლევა-შესწავლა და მათი შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ქართულ საავიაციო ტერმინთა სხვადასხვა სახის ლექსიკონის შექმნა, რომელიც გამართული იქნება ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით [13] და მასში აისახება ყველა ის ერთეული, რომლებიც დასტურდება დღეისათვის არსებულ ლექსიკონებსა თუ საავიაციო დოკუმენტაციაში. ენათმეცნიერებთან ერთად შეთანხმებული ტერმინოლოგიური მუშაობა უცხო არ არის ქართული საავიაციო წრეებისათვის, ასეა შექმნილი სამი ქართული საავიაციო ლექსიკონი [7-9]. ეს საკითხი დასმულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების მიერაც. ენათმეცნიერების ინსტიტუტში 2014 წლიდან იქმნება საერთო ტერმინოლოგიური ბაზა, რომელშიც თავს იყრის ქართული ბეჭდური ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სხვა დარგის ტერმინოლოგიურ ლექსიკონებთან ერთად ქართული ტერმინთბანკის ბაზაში უკვე შესულია ქართული საავიაციო ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

ზემოაღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა - უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფმა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების სპეციალისტების ჩართულობით წარადგინა საპროექტო წინადადება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობ სამეცნიერო კვლევით საგრანტო კონკურსზე, გაიმარჯვა და მოიპოვა დაფინანსება.

პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნა „სავიაციო ტერმინთა ქართულ-ინგლისური სასწავლო ილუსტრირებული ლექსიკონი“, რომელიც მოიცავს სამოქალაქო ავიაციის საჰაერო ხომალდების ძირითადი ნაწილების შემადგენელი ტექნიკური მოწყობილობებისა და მათი ექსპლუატაციის პროცესების ამსახველ ტერმინებს, მასალა თემატურადაა დალაგებული, ყველა ილუსტრაცია წარმოდგენილია ქართული ტერმინითა და მისი ინგლისური შესატყვისით. ლექსიკონს ახლავს სარჩევი და ტერმინთა საძიებელი როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

სავიაციო ტერმინოლოგიაში ილუსტრაციები უმნიშვნელოვანესია ტერმინის შინაარსის ზუსტად აღქმისათვის, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ის სასწავლო მიზნებისთვისაა განკუთვნილი, ტერმინის შესაბამისი ილუსტრაცია სწორად გააზრებინებს სტუდენტებს ამა თუ იმ საგნის თუ პროცესის შინაარსს. ლექსიკონის შედგენისას გამოყენებულია საქართველოში სხვადასხვა დროს შექმნილი და გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონები, რომლებიც თავმოყრილია ტერმინოლოგიური ლექსიკონების ერთიან ელექტრონულ ბაზაში, ქართულ ტერმინთბანკში.

ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობდნენ სსუ-ს თანამშრომლები: ს. ტეფნაძე - პროექტის კოორდინატორი, ნ. თიკანაშვილი - პროექტის ხელმძღვანელი, ა.მაისურაძე, რ. ებრალიძე, რ. ხაჩიძე, ვ. კელიხაშვილი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელი - მ. ოსაძე, ასისტენტები: დიზაინერ-დამკაბადონებელი ი. ფარცხალაძე,

კომპიუტერის ოპერატორი ე. მჭედლიშვილი, ასევე კონსულტანტები ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან - ლ. ქაროსანიძე და ნ. მუზაშვილი, სსუ-სა და ინსტიტუტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე. სალექსიკონო მასალა დაბეჭდვამდე გასაცნობად დაეგზავნა საავიაციო დარგის მოქმედ ორგანიზაციებს და მიღებულ იქნა შესაბამისი უკუკავშირი.

„საავიაციო ტერმინთა ქართულ-ინგლისური სასწავლო ილუსტრირებული ლექსიკონი“ დაეხმარება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საინჟინრო და საფრენოსნო ფაკულტეტის პროფესიული საფეხურის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, ამავე დროს იგი შეიძლება გამოყენებული იყოს ავიაციის დარგში მომუშავე შესაბამისი პროფილის სპეციალისტთა მიერ.

მადლიერება:

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [SL-22-418, საავიაციო ტერმინთა სასწავლო ილუსტრირებული ქართულ-ინგლისური ლექსიკონი].

გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] „აეროდინამიკის კურსი“, პ. მ. შირმანოვი, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1958 წ;
- [2] „საავიაციო ძრავები“, ვ. ტიუტინოვი, ს. ლოვინსკი, გამომცემლობა „განათლება“, 1971 წ;
- [3] „თვითმფრინავების კონსტრუქცია“, მ. შულჟენკო, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1982 წ;
- [4] „აეროდინამიკა“, ს. ტეფნაძე, გ. სანაძე, დ. ლელაძე, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 1977 წ;
- [5] „ფრენის უსაფრთხოება“, ს. ტეფნაძე, დ. ლელაძე, უ. როინიშვილი, გ. სანაძე, სტუ. საავიაციო ინსტიტუტი, 1998 წ;
- [6] „თვითმფრინავის ფრენის თეორია“, ს. ტეფნაძე, უ. როინიშვილი, გ. სანაძე, დ. ლელაძე, სტუ. საავიაციო ინსტიტუტი, 1998 წ;
- [7] „საავიაციო ტერმინოლოგიური ლექსიკონი“, შედგენილი თბილისის საავიაციო ტექნიკუმის სატერმინოლოგიური კომისიის მიერ ვ. ბერიძის რედაქციით, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, აკად. ნ. მარის ენის ინსტიტუტი, თბილისის საავიაციო ტექნიკუმი, თბილისი, 1945;
- [8] „ინგლისურ-რუსულ-ქართული საავიაციო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი“, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, სტუ საავიაციო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, თბილისი, 2002 წ;
- [9] „საავიაციო ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული)“, ვ. ბერიაშვილი, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, თბილისი, 2001 წ;
- [10] „საჰაერო ხომალდების ფუნქციონალური სისტემები“, ს. ტეფნაძე, ნ. არეშიძე, ლ. თოფურია, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2005 წ;
- [11] „საავიაციო აირტურბინული ძრავები“, ა. მაისურაძე, წიგნი I, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017 წ;
- [12] „საჰაერო ტრანსპორტი“, სსუ, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, №1-16, 2008-2022 წწ;
- [13] „ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელოს“ (იუნესკო, პარიზი, 2005 წ) ავტორიზებული თარგმანი ზ. კიკვიძის მიერ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მხარდაჭერით, თბილისი, 2022 წ.

Studies and practical steps for the development and improvement of Georgian aviation technical terminology

S. Tepnadze¹, N. Tikanashvili¹, R. Khachidze¹, V. Kelikhashvili¹, M. Osadze²

¹ Georgian Aviation University, 16 Ketevan Dedopali Avenue, 0103, Tbilisi, Georgia

² TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics, Pavle Ingorokva Street 8, 0108, Tbilisi, Georgia

Abstract

As a result of the rapid development of aviation and the aviation industry, completely new technologies and technical means have been developed in recent years, which have been introduced and are successfully used all over the world. Accordingly, new aviation terms and concepts of international importance came into use. It has become necessary to find their Georgian equivalents or to create new ones, which has recently been implemented by various agencies and organizations in parallel, but without agreement with each other. The joint work of aviation specialists and linguists in this direction became necessary.

The article discusses the stages of development of aviation terminology in Georgia, examines its current state and outlines the ways of its further development.

Keywords: *aviation terminology, dictionary, translation, term bank.*